

## მემორანდუმი

### საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ბუნების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში მხარეებად წოდებული.

ეყრდნობიან რა ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებულ გრადიციულ მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებს,

მხედველობაში იღებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ძალისხმევის აქტუალურობას, რომელიც ეხება გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობასა და ერთვნიული და საერთაშორისო ეკოლოგიურ პროგრამებში ორივე ქვეყნის მონაწილეობისას ერთობლივი ქმედებების კოორდინაციას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1

მხარეები ამუშავებენ კანონმდებლობის სინქრონიზაციის პროგრამას გარემოს დაცვის სფეროში, ნორმების, ნორმატივებისა და სტანდარტების ჩათვლით.

#### მუხლი 2

მხარეები თანამშრომლობენ გარემოს შესწავლაში, შესაბამისი ინფორმაციის გაცვლაში, ეკოლოგიურად საშიშ სიტუაციებზე გაფრთხილების სისტემის შექმნაში.

#### მუხლი 3

მხარეები ითანამშრომლობენ გარემოს დაცვის, სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების წარმოების, მონიტორინგის სფეროში, საექსპორტო და საკონსულტაციო შეხვედრების განხორციელებაში.

#### მუხლი 4

მხარეები ითანამშრომლობენ გარემოს დაცვის და ბუნებით სარგებლობის სახელმწიფო მართვის და რეგულირების, სახელმწიფო კონტროლის, შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმების გამოყენების გამოცდილების გაცვლის, სპეციალისტთა სტაჟირების სფეროში.

#### მუხლი 5

მხარეები ითანამშრომლობენ ერთობლივი კვლევითი სამუშაოების განხორციელების, სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგების გაცვლის სფეროში, მათ შორის უკვე არსებული პროექტებისა, რომლებიც ეხება კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნავთობის საბადოების დაცვის პრობლემებს და ეკოლოგო-

ეკონომიკურად ხელსაყრელი ენერგო-და რესურსდამზოვი სისტემებისა და ნაგებობების შექმნასა და რეალიზაციას.

### **მუხლი 6**

მხარეები ერთმანეთს გაუცვლიან მონაცემებს გარემოს საშიში შემოქმედების ეროვნული წყაროების შესახებ.

### **მუხლი 7**

მხარეები კოორდინაციას გაუწევენ საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციებისა და სამრეწველო ავარიების ლიკვიდაციისათვის ეროვნული სამაშველო სამსახურების ქმედებებს.

### **მუხლი 8**

მხარეები მოაწესრიგებენ ტოქსიკური და რადიაქტიური ნარჩენებისა და ნივთიერების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

### **მუხლი 9**

მხარეები თანახმანი არიან იმაში, რომ ყველა საქონელი, მასალა და ტექნოლოგიები, რომლებიც შეიზიდება ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე ან მესამე ქვეყნიდან, უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ბუნების დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს, ხოლო ასეთების უქონლობის შემთხვევაში TYC და DJP.

მხარეებს უფლება აქვთ ჩააგარონ საქონლის დამატებითი შემოწმება მათი ბუნების დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. მეორე მხრიდან საქონლის გრანსპორტირებისას, ასევე საგრანზიტო გადაზიდვებისას მოქმედებს საერთაშორისო ნორმები და წესები, რომლებიც ეხება საშიში გვირთის გადატანას. რადიაქტიური, ტოქსიკური და სხვა ნარჩენების შეტანა და გრანზიტი ხორციელდება მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 10**

მხარეები თავს შეიკავებენ ისეთი მოქმედებებისაგან, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ტერიტორიების გადაკვეთისას, საგრანსპორტო შემოქმედების შედეგად ზიანს მიაყენებენ გარემოს.

### **მუხლი 11**

მხარეები ხელს შეუწყობენ საბაჟო სამსახურების ერთობლივ ქმედებებს გადაშენებას დაქვემდებარებული იშვიათი ცხოველებისა და მათი პროდუქციის იმპორტისა და ექსპორტის აღსაკვეთად.

### **მუხლი 12**

მხარეები მოამზადებენ ხელის მოსაწერად შეთანხმებას ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიის გავრცელების ეკონომიკური სტიმულირების შესახებ.

### **მუხლი 13**

ყველა მოსალოდნელი კამათისა და წინააღმდეგობის გადასაწყვეტად, ასევე შეკითხვების გადასაჭრელად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მემორანდუმის

მუხლებით, მხარეები შექმნიან შერეულ კომისიას.

ეს მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს იმ დღიდან ექვსი თვის გასვლამდე, როდესაც ერთ-ერთი მხარე გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას მეორე მხარეს მისი მოქმედების შეწყვეტაზე განზრახვის შესახებ.

შესრულებულია ქ. თბილისში 1996 წლის 17 სექტემბერს ორ პირად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენაზე, ამასთან, ყველა გექსგს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს  
მთავრობის სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით